პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 147 (10233) | ხუთშაბათი, 23 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## ორგანიზებულად ჩავატაროთ თიბვა

მეცხოველეობის სწრაფი განვითარების ამოცანის განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის უზრუნველყოფას კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვებით. საკვები ბაზის განმტკიცების ინტერესები მოითხოვს სერიოზული ყურადღება მიექცეს ბუნებრივი ბალახის დროულად აღებას. პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ ბალახი, რომელიც გათიბულია დაკოკრებისა და ყვავილობის დაწყების პერიოდში, საუკეთესო ხარისხის თივას იძლევა.

თივის აღება გაჩაღებულია საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. თიბვის პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ სადაც კარგად მოემზადნენ და ორგანიზებულად ხელმძღვანელობენ თივის აღების სამუშაოებს, იქ შედეგიც საუკეთესოა. მაგალითად, კაჭრეთისა და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობებში თივის აღების ტემპი დღითიდღე ძლიერდება.

ამასთან გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში. თიბვის ტემპი დაბალია სიღნაღის, მარნეულის, ბოლნისის და სხვა რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში.

მოდის სიგნალები, რომ ბევრგან თიბვაზე სრული სიმძლავრით არ იყენებენ ტექნიკას, ვხვდებით სათიბი აგრეგატების გაცდენას. გარდაბნისა და ქედის მტს-ებში ტრაქტორისტთა ერთი ნაწილი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს.

საკვების დამზადება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უნდა გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული რეზერვები. იმ რაიონებში, სადაც თიბვა ჯერ არ დაწყებულა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ თივის ასაღები მანქანების რემონტის სწრაფად დამთავრებას, ტრაქტორის თივის ასაღები აგრეგატებისა და თვითმავალი სათიბი მანქანების გამოცდილი ტრაქტორისტებით, მემანქანეებით დაკომპლექტებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების ახლანდელ ეტაპზე მეცხოველეობის განვითარებისათვის დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს. მათი ვალია მანქანების სრული სიმძლავრის გამოყენებით განახორციელონ თივის აღების — თიბვის, მოფოცხვის, დაბულულების, დაზვინვისა და დაწნეხვის კომპლექსური მექანიზაცია. არ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა ზოგი მტს-ის ხელმძღვანელი კმაყოფილდება მხოლოდ თივის აღებით და უყურადღებოდ ტოვებს ისეთ სამუშაოებს, როგორიც არის მოთიბული ბალახის შეგროვება და დაზვინვა. გასულ წელს ახალციხის, ენისელის, აფენის, თელეთის, წითელხიდის მტს-ები მარტო ბალახის თიბვით დაკმაყოფილდნენ. დროა ამ მდგომარეობიდან მტს-ების მუშაკებმა სათანადო დასკვნა გააკეთონ და ყველა საშუალება გამოიყენონ თივის ასაღებ სამუშაოთა მექანიზაციის გასაფართოებლად.

თიბვაზე, ისე როგორც მოსავლის აღებაში, დროის ფაქტორს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ამოცანა ის არის, რომ თიბვა ჩავატაროთ სწრაფად, პურეულის მასობრივად აღების დაწყებამდე. მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ თივის აღებას საზამთრო საძოვრებზე, სადაც ბალახი, თუ მოკლე დროში არ იქნა აღებული, გადაიწვება. ამიტომ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა ღვიძლი საქმეა არ დაელოდონ ბალახის მთელ ფართობზე შემოსვლას, დაიწყონ თიბვა შერჩევით, ცალკეული მასივების მომწიფების მიხედვით.

მნიშვნელოვანია თივის სადაზღვევო მარაგის შექმნის საკითხი ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე. ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ დუშეთისა და თიანეთის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები არ ჩქარობენ თივის აღებას საზამთრო საძოვრებზე, ისინი თავს იმით იმშვიდებენ, რომ შარშან დამზადებული თივის მარაგი საკმაოდ გვაქვს და წელს ცოტა გვჭირდება საკვების დამატებაო. ასეთი განწყობილება საზიანოა საქმისათვის. როცა ბალახი არის, იგი მთლიანად უნდა მოითიბოს. საზამთრო საძოვრებზე საკვების სადაზღვევო მარაგის გადიდებისათვის ზრუნვა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების საპატიო საქმეა.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მტს-ები საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და კოლმეურნეობათა გამგეობები მოვალენი არიან მიაღწიონ იმას, რომ თივის აღებაში მონაწილეობას იღებდნენ რაც შეიძლება მეტი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, გაათავისუფლონ ისინი თიბვის დროისათვის შინასამეურნეო და სხვა მეორეხარისხოვანი სამუშაოებისაგან, საჭირო შემთხვევაში მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთიბავთა ბრიგადების საზოგადოებრივი კვება და უზრუნველყონ, რომ ყველა კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშა, რომლებიც საკვების დამზადებაზე მუშაობენ, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს გამომუშავების დღიურ ნორმებს.

საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ საკვების დამზადებაზე კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ღონისძიებები. სახელდობრ, თივის აღებისა და ნამჯის შეგროვების პერიოდში კოლმეურნეებსა და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს თივის აღებასა და ნამჯის დამზადებაზე გამომუშავებულ შრომადღეებზე უნდა მიეცეთ დამზადებული, შემოსავალში გატარებული და კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მიღებული თივისა და ნამჯის საერთო რაოდენობის 10 პროცენტამდე, ხოლო ბუნებრივი სათიბების მეორე თიბვისას — 20 პროცენტი; კოლმეურნეობები, რომლებმაც შეასრულეს თივის დამზადების გეგმა, შრომადღეებზე გასცემენ გეგმის გადამეტებით დამზადებული თივის 30 პროცენტს. გარდა ამისა, საკვების დამზადების პერიოდში ყველა კოლმეურნეს წლის დამდეგიდან გამომუშავებულ შრომადღეებზე ავანსად მიეცემა დამზადებული თივის საერთო რაოდენობის 5 პროცენტამდე და დამზადებული და დაბულულებული ნამჯის 10 პროცენტამდე. ფაქტები მოწმობენ, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში საკვების დამზადებაში არ იყენებენ მატერიალური წახალისების ამ წესს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები დროა დაინტერესდნენ ამ საკითხით და დაეხმარონ კოლმეურნეობებს სწორად და აუცილებლივ განახორციელონ ეს ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას საკვების დამზადებაში.

თიბვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის აუცილებელია კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის ფართოდ გავაჩაღოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. მაგრამ ზოგან ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. კასპის რაიონში თივის აღებაში სერიოზული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტიის კასპის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი თეძამის მტს-ის ზონაში ნაკლებად ზრუნავს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. მტს-ის პარტიულ ორგანიზაციას საერთო კრებაზე საფუძვლიანად არ უმსჯელია თივის აღების სამუშაოთა საკვანძო საკითხებზე.

პარტიის რაიკომები და უწინარეს ყოვლისა მათი მდივნები და ინსტრუქტორთა ჯგუფები ვალდებული არიან იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაა მტს-ების ზონის კოლმეურნეობებში თივის აღების, საკვების დამზადების მხრივ, ხელი შეუწყონ მოწინავე მექანიზატორთა და კოლმეურნეთა მუშაობის მეთოდებისა და ხერხების პრაქტიკულად დანერგვას, ფართოდ გაჩაღებული ორგანიზატორული მუშაობით უზრუნველყონ პარტიის დავალებათა სანიმუშოდ შესრულება.

## ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლის შედეგად 20 ივნისისათვის 100,4 პროცენტით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით თვის ბოლოსათვის სამშობლოს მისცეს 800 ათასი მანეთის პროდუქცია.

## გარეუბნის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა

გარეუბნის რაიონმა ვადაზე ადრე, 20 ივნისისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმები: ხორცისა — 100,6 პროცენტით, რძისა — 102,1 პროცენტით, კვერცხისა — 100,2 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარება გრძელდება.

## ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივ განცხადებას

22 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივ განცხადებას.

20 საათი და 15 წუთია. მაგიდასთან, სადაც ძევს ერთობლივი განცხადების ტექსტები რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამ განცხადების ხელის მოსაწერად მიდიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

ერთობლივ განცხადებას ხელს აწერენ ნ. ა. ბულგანინი და ჯავაჰარლალ ნერუ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ მაგრად ართმევენ ხელს ერთმანეთს.

ერთობლივი განცხადების ხელის მოწერის დამსწრენი ტაშით იწონებენ ერთობლივი განცხადების ხელის მოწერის აქტს, რომელიც მოწმობს, რომ სსრ კავშირის მთავრობასა და ინდოეთის მთავრობას ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ერთობლივი განცხადების ხელის მოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი გ. კ. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ლ. ფ. ილიჩოვი, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

ინდოეთის მხრივ ერთობლივი განცხადების ხელის მოწერას დაესწრნენ ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, ჯ. ნერუს ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოელ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება. (საკდესი).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის საუბარი ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუსთან

22 ივნისს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ. მიღების დროს გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლ. მ. კაგანოვიჩმა, ა. ი. მიქოიანმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საუბარს დაესწრნენ ჯ. ნერუს თანმხლები პირნი: ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი პ. ნ. კაული.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ვ. კუზნეცოვი.

საუბარი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ზ. საბუროვმა მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ

21 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მიმდინარე დაგეგმვის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარემ მ. ზ. საბუროვმა მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრნენ ჯავაჰარლალ ნერუს თანმხლებნი — ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და საელჩოს პირველი მდივანი პ. ნ. კაული.

საუბარს აგრეთვე დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, გეოლოგიის და წიაღის დაცვის მინისტრი პ. ი. ანტროპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ვ. ნ. სტაროვსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ვ. ნიკიტინი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები ბ. ნ. ბეზრუკოვი, დ. დ. დეგტიარი, პ. ს. ივანოვი და ბ. ვ. საველიევი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის წევრი ნ. ვ. გორიჩევი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. სოროკინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში მ. ა. მენშიკოვი. (საკდესი).

## სსრ კავშირის დიდ თეატრში

21 ივნისს დიდ თეატრში დაიდგა ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი".

სპექტაკლს დაესწრნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი.

სპექტაკლს დაესწრნენ ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი.

მაყურებლები მხურვალედ მიესალმნენ პრემიერ-მინისტრ ნერუს და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, როცა ისინი ლოჟაში შემოვიდნენ.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ჯ. ნერუ ინდირა განდის, კ. პ. შ. მენონის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ნ. ა. მიხაილოვის, თეატრის დირექტორის მ. ი. ჩულაკის თანხლებით სცენაზე გავიდა. ჯ. ნერუმ გულთბილი მადლობა გადაუხადა სპექტაკლის მონაწილეებს და ყვავილები მიართვა მთავარი როლების შემსრულებლებს გ. ულანოვასა და მ. პლისეცკაიას. (საკდესი).

## თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დელეგაცია

22 ივნისს თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დელეგაციის წევრების ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება, რათა გაეცნოს საწარმოებს, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და სასწავლებლებს.

დელეგაციას მეთაურობს ინდოეთის ირიგაციისა და ენერგეტიკის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე კანვარ სენი. ჩამოსულთა შორის არიან: ბუნებრივი რესურსებისა და მეცნიერულ ძიებათა სამინისტროს სამთო სამმართველოს დირექტორი ვასანტ რაო ქჰედკერი, ტყეთა გენერალური ინსპექტორი კონდრამანიკამ რანგანატანი, ირიგაციისა და ენერგეტიკის საკითხთა კომიტეტის წევრი ჰაიატ მუჰამედი, ინდოეთის მთავრობის მრჩეველი მცენარეთა დაცვის დარგში კრიშნა ლალი, უტარ პრადეშის შტატის ირიგაციის დეპარტამენტის მთავარი ინჟინერი აქჰილ მიტრა, შრომის სამინისტროს შახტების მთავარი ინჟინრის მოადგილე გურბაჩან ჯაბი, პროფესორი სუბრაჰმანიამ კალაპასტი, კაშხალ „ტუნგაბჰადრის" მთავარი ინჟინერი შრირანგაჩარი გომატამი. დელეგაციას ახლავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტექნიკური დახმარების ადმინისტრაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების სექტორის უფროსი ქ-ნი ელეონორა ჰინდერი.

სტუმრებს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ი. კუჭავა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ს. ქობულია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ს. ი. ვაჩეიშვილი, მ. მ. დოლაბერიძე, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი ა. თ. კარტოზია, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. ა. კვესელავა, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, ტრესტების ხელმძღვანელები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

მ. კ. მაღრაძემ და კანვარ სენმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

ინდოეთის თანამდებობის პირებსა და სპეციალისტებს განზრახული აქვთ გაეცნონ სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას. (საქდესი).



სურათზე: ინდოეთის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დელეგაციის წევრების ჯგუფი თბილისის აეროდრომზე.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

## ჯავაჰარლალ ნერუმ დაათვალიერა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის ელექტროსადგური

22 ივნისს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ, მისმა ქალიშვილმა ინდირა განდიმ, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ნ. რ. პილაიმ, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგემ ა. ჰუსეინმა ნახეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის პირველი ელექტროსადგური.

ჯავაჰარლალ ნერუსთან ერთად ატომის ელექტროსადგური დაათვალიერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა ლ. მ. კაგანოვიჩმა და ა. ი. მიქოიანმა.

ჯავაჰარლალ ნერუს თანახლდნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი. (საკდესი).

## კამის ჰიდროელექტროსადგურის მეორე რიგი

მოლოტოვი. (საკდესი). შეუფერხებლად მუშაობს კამის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ექვსი აგრეგატი. დასავლეთ ურალის ქარხნებს, შახტებს, სოფლის მეურნეობას ამ აგრეგატებმა უკვე მისცეს ასეულ მილიონობით კილოვატსაათი იაფი ელექტროენერგია.

მშენებლები და მემონტაჟეები აგებენ კამის ჰიდროკვანძის მეორე რიგს. წელს მათ უნდა გადასცენ საექსპლოატაციოდ კიდევ ცხრა აგრეგატი. მათგან სამი ამუშავდება მესამე კვარტალში.

ამჟამად ყველა უბანში ფართო ფრონტით არის გაჩაღებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მთავრდება ქვაბულიდან მიწის ამოღება. ჰიდროელექტროსადგურის წყალსაშვებ კაშხალზე მთავრდება ბეტონის ჩასხმა ზედა ბიეფის ბურჯებში, რომლებზეც გაყვანილი იქნება გზა ხარისხიანი ამწევებისათვის მეთოთხე სექციისაკენ. მებეტონეები ერთმანეთს ეჯიბრებიან თვიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ფოტინის ბრიგადამ უკანასკნელ შვიდ დღეში დავალების გადაჭარბებით ჩაასხა ორას კუბურ მეტრზე მეტი ბეტონი, ბაზენკოს ბრიგადა ცალკეულ დღეებში დავალებით გათვალისწინებული 190 კუბური მეტრის ნაცვლად 260 კუბურ მეტრს იძლევა.

მეოთხე სექციის მალებში დურგლებმა, მეარმატურეებმა, მემონტაჟეებმა უკვე დაამონტაჟეს მეოცე, ოცდამეერთე, ოცდამეორე და ოცდამესამე აგრეგატების სამუშაო ბორბლების კამერები. სპეცჰიდროენერგომემონტაჟეები ამ ობიექტებზე შეუდგნენ მიმმართველი აპარატების ფრთების მონტაჟს.

სამონტაჟო მოედანზე წარმოებს აგრეგატთა დიდი კვანძების აწყობა.

## მილიონნახევარი მეტრი ქსოვილები გეგმის გადამეტებით

წარმატებით შრომობენ ივნისში მოსკოვის კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" ფეიქრები. თვის პირველ ნახევარში მათ დავალების დამატებით ბევრი პროდუქცია გამოუშვეს. მზა ქსოვილების სადღეღამისო გამოშვება 40 ათასზე მეტი მეტრით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

მიმდინარე წელს კომბინატის მხატვრებმა ქსოვილების 150 ნახატი გადასცეს წარმოებას. ბევრ ლამაზ მასალას უშვებენ ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის სეზონებისათვის.

„ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" კოლექტივმა, რომელმაც ახალი მოწყობილობა აითვისა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქსოვილების გამოყვანის ხარისხი. მანქანებიდან იღებენ ჩინებული ხარისხის სულ უფრო მეტ შტაპელს, სატინსა და ჩითს.

5,5 თვეში საწარმოს მუშაკებმა მილიონნახევარი მეტრი მაღალხარისხოვანი აბრეშუმნარევი და ბამბეულის ქსოვილი გაამზადეს გეგმის დამატებით. (საკდესი).

## კრებული დოკუმენტებისა „პარტიული მუშაკის დასახმარებლად"

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა კრებული დოკუმენტებისა „პარტიული მუშაკის დასახმარებლად". წიგნში შეტანილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საერთო დადგენილებები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა 1953 წლის სექტემბრიდან 1955 წლის მაისამდე.

კრებული გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პარტიული ცხოვრება

# კოლმეურნეობის აგიტატორები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა კოლმეურნეობების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით მოითხოვა სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. ჩვენი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს [illegible] 1.400 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 750 კილოგრამისა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად საჭიროა ყოველდღიურად წარმოებდეს პოლიტიკური მუშაობა მეცხოველეთა შორის. აგიტატორმა მ. ქუჯოშვილმა მოაწყო კოლმეურნეობის მოწინავე მწველავის ეთერ საბანაშვილის საუბარი თემაზე: „როგორ ვაღწევ მაღალ წველადობას თვითეულ საფურაჯე ძროხაზე“. როცა კოლმეურნეებმა მოისმინეს საუბარი და შეკითხვებზე მიიღეს საჭირო პასუხი, აგიტატორმა წინადადება წამოაყენა, რომ მეძროხეობის ფერმის თვითეულ მწველავს აეღო ინდივიდუალური სოციალისტური ვალდებულება წველადობის გასადიდებლად. შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველი ჩაება მწველავი ოლია გიუნაშვილი, რომელმაც უკვე შეასრულა წველადობის წლიური გეგმა.

მოწინავეთა მუშაობის გაცნობა ფერმის მუშაკებს დიდად ეხმარება საქმის უკეთ მოწყობაში. შარშან კოლმეურნეებმა პირველად შეასრულეს ძროხების წველადობის გეგმა. წინათ ჩამორჩენილი მეცხოველეობის დარგი ახლა ჩვენთან სწრაფად იზრდება და წამყვან ადგილს იკავებს.

პირნათლად ვასრულებთ მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმებს. მაგალითად, ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა, აგრეთვე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ტყავის დამზადების დავალებები პირველ კვარტალშივე შევასრულეთ.

კოლმეურნეობაში მნიშვნელოვნად ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურაც. ფართოდ დაინერგა მარცვლეული კულტურების თესვის პროგრესული მეთოდები. მემინდვრეობის მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი გ. ციცქიშვილი) წელს სიმინდი მთელ ფართობზე პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად დათესა. [illegible] 18 [illegible] 35 [illegible]

[illegible] აგიტატორებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით კოლმეურნეობაში შექმნილია აგიტპუნქტი. მას უნარიანად ხელმძღვანელობს მასწავლებელი დავით მეტრეველი. კვირაში ერთხელ ვაწყობთ სემინარებს, სადაც ხდება აგიტსაუბრების თემების განხილვა, აგიტატორებს ეძლევათ მითითებანი, თუ როგორ მოაწყონ საუბარი ამა თუ იმ საკითხზე. სემინარზე ვახდენთ აგრეთვე მოწინავე აგიტატორთა მუშაობის გამოცდილების გაზიარებას.

სემინარის მუშაობა რომ უფრო საქმიანი და მაღალიდეური იყოს, მომხსენებლებად ვიწვევთ მასწავლებლებს, აგრონომებს, ვეტექიმებს. მაგალითად, აგრონომ ვახტანგ ახალაძეს სემინარზე მოხსენება გავაკეთებინეთ თემაზე: „სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის მეთოდები და მისი უპირატესობა“, სოფლის რვაწლიანი სკოლის დირექტორს გიორგი ფინდიშვილს — „სკოლა და ოჯახი“ და სხვ.

მაგრამ მუშაობაში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც. ყველა აგიტატორი კარგად როდი მუშაობს. საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადაში, სადაც აგიტატორია ვენერა აზალაძე. ამითაც აიხსნება ის, რომ ეს ბრიგადა მუშაობაში ჩამორჩება.

პარტიული ორგანიზაცია ყველა ზომას მიიღებს საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

**ვ. გოგშელიძე,**

გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის“ პარტბიუროს მდივანი, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი.

## მეშახტეთა პირადი ბიბლიოთეკები

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეები დღითიდღე იმაღლებენ კულტურულ დონეს. ბევრი მათგანი დამოუკიდებლად იძენს ცოდნას, ეცნობა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, კითხულობს მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას.

ტყიბულის მეშახტეთა უმრავლესობას კარგი პირადი ბიბლიოთეკა აქვს. წიგნის მაღაზიებში ხშირად შეხვდებით სტალინის სახელობის შახტის ნოვატორ მნგრეველს ი. ორჯონიკიძეს, რომელიც სისტემატურად იძენს ახალ გამოცემებს. მის პირად ბიბლიოთეკაში ამჟამად მრავალი წიგნია. აქ შეხვდებით ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა ტომებს, შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას „ვეფხისტყაოსანს“, ანა ანტონოვსკაიას „დიდ მოურავს“ და სხვ.

მრავალ წიგნს შეიცავს აგრეთვე მეშახტე ნ. კურიშოვის ბიბლიოთეკა. პირადი ბიბლიოთეკისათვის სისტემატურად იძენენ წიგნებს მნგრეველი ა. ბაკურაძე, ტექნიკოსი შ. კაკაბაძე და სხვები.



აგრონომი ა. ჯორბენაძე ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში ათვალიერებს ჰიბრიდულ სიმინდს. ფოტო ნ. ანასტასიევისა.

## სიმღერა სიმინდზე

მწვანე ყანად ტანაყრილი ლაღად ხარობ,
სიჭაბუკე, ჩემი თოხი მომაგონე,
გულმართალი პაპაჩემის ნაოფლარო,
მამაჩემის გლეხკაცური ბელლის ღონევ!

მინდა მკლავი კვლავაც თოხნით გავიხურო,
შენს ფოთლებზე მეც მიღვრია ოფლი წმინდა,
ჩემი ყრმობის შეუცვლელო თაფლის პურო,
შენი თბილი, ოქროსფერი მჭადი მზრდიდა.

რომ დავჩიტდი და შევძელი ქვეყნად შრომა,
პირველად შენ მოგითოხნე ბავშვმა ძირი.
ბევრჯერ ტკბილად გვაგრძნობინე შემოდგომა,
აგვაშორე ბევრჯერ სახლის გასაჭირი.

ახლაც ყველა შენ ხალისით შემოგხარის
ადიდებენ მოშრიალე მწვანე ყანებს,
მაგრამ რა შორს გაგიშლია ახლა მხარი,
სად არ გხედავ მშობლიურად მოლაღანეს!

თავზე სად არ დაგტრიალებს სოფლის მკვიდრი,
მშობლიური ქვეყნის თვალი, ქვეყნის ხელი.
ძარღვიანი ჯავარი ხარ ჩვენი მინდვრის,
ხორბლის ძმა ხარ, ხორბალივით საყვარელი.

ტრაქტორების ნაგუთნავზე სუნთქავ შვებით,
არ გჩვევია მუშა კაცის გაწბილება.
მიყვარს შენი ნორჩი ტაროს ულვაშები,
შენი მწიფე, მძიმე ტაროს გაცინება.

ჩემს ძალლონეს სიყვარულით გინაწილებ,
ვაუკაცს როგორ მოსწყინდება შენი მოვლა!
შენში ვხედავ ჩვენი ფერმის კრუხ-წიწილებს,
ჩემი ხალხის სილაღეს და სუფრის დოვლათს.

მწვანე ყანად ტანაყრილი სად არ ხახლობ,
მზეს შენს ფოთლებს დასაკოცნად სად არ უშლი!
რა ოქრო ხარ, რომ ქვეყანამ დაგინახოს,
გამოფენის სტენდზეც ლაღობ ქვეყნის გულში.

**გიორგი კაჭახიძე.**

## კარგი მოსავალი

ლაგოდეხი, 21 ივნისი. (საქინფორმი). რაიონში დღითიდღე ფართოვდება პურეულის აღება. სწრაფად მკიან ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მექანიზატორები, რომლებიც ფართოდ გამოეხმაურნენ წითლის მტს-ის მეცამეტე კომბაინის აგრეგატის კოლექტივის წინადადებას — 10 დღეში მკის დამთავრებისა და კომბაინზე დღეში 20-22 ჰექტარის გამომუშავებისათვის შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

პურეულის მკის დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში რ. სეფიაშვილის კომბაინის აგრეგატის კოლექტივი, რომელიც ჰექტარზე 23-25 ცენტნერ ხორბალს ლეწავს. 22 ცენტნერ ხორბალს ლეწავს ჰექტარზე ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში კომბაინერი ს. ციბულსკი.

### საბჭოთა მშენებლობა

# ფართო გზა ამომრჩეველთა შემოქმედებითს ინიციატივას

რაიონში, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს, სულ უფრო შეძლებული და საამური ხდება ცხოვრება. დღეს იშვიათია ორჯონიკიძის რაიონში ისეთი სოფელი, სადაც ილიჩის ნათურები არ კიაფობდნენ. აქაურ მშრომელთა განკარგულებაშია კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელი. რაიონულ ცენტრსა და მთაგორიან სოფლებს კიდევ უფრო ალამაზებენ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების კოპწია შენობები, სადაც კვალიფიციური პედაგოგიური კადრების ხელმძღვანელობით ცოდნას იძენენ ჩვენი ცხოვრების ყვავილები — ბავშვები.

ორჯონიკიძის რაიონის მშრომლებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად, კანონიერი სურვილი აქვთ კიდევ უფრო კეთილმოწყობილი იხილონ რაიონი. ამან გამოხატულება ჰპოვა წინასაარჩევნო კრებებზე, სადაც ამომრჩევლებმა ბევრი საქმიანი წინადადება წამოაყენეს. ისინი მოითხოვდნენ დამატებით სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებათა გახსნას, ახალი ხიდების, ზონდების, ბოგირების აშენებას, წყაროების კეთილმოწყობას.

მრავალი სასოფლო საბჭოს აღმასკომი დროულად შეუდგა ამომრჩეველთა განაწესის განხორციელებას. ხუნევის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ე. ლომიძე) აქტივზე დაყრდნობით არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში საგრძნობი მუშაობა გასწია. ააგეს ხიდები მდინარეებზე ძირულასა და ზეინეურაზე, სამანქანო გზა გაიყვანეს სოფელ ვერტყვიჭალის ერთ-ერთ უბანში, შეაკეთეს საურმე გზები, მიმდინარეობს წყაროების კეთილმოწყობის სამუშაოები. გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ დეპუტატების მტკიცე დარაზმულობა, აღმასკომის უნარიანი ხელმძღვანელობა და ამომრჩეველთა მოთხოვნების შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობის გრძნობა იმის თავდებია, რომ ხუნევის სასოფლო საბჭო პირნათლად შეასრულებს ამომრჩეველთა განაწესს.

კარგი მუშაობით გამოირჩევა აგრეთვე ლაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე თ. თხელიძე), რომლის წევრებმა დეპუტატებისა და აქტივის ფართო მონაწილეობით ამომრჩეველთა მრავალი წინადადება განახორციელეს. მაგალითად, სოფელ ლაშის იგორეთში გაიყვანეს რადიო, აწყობენ კინოდარბაზს, მყარდება სატელეფონო კავშირი ლაშის სასოფლო საბჭოს ცენტრსა და კოლმეურნეობებს შორის. ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად საგრძნობი მუშაობა გასწია აგრეთვე ზორითის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე შ. გოლუბიანი).

მაგრამ რაიონში არის ისეთი სასოფლო საბჭოებიც, რომლებმაც დაივიწყეს, რომ ბრძოლა ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად მათი ყველაზე უფრო საპატიო ამოცანაა. მაგალითად, მოსალოდნელი იყო, რომ მოლითის სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ნ. ღონღაძე), წინასაარჩევნო კრებების მასალების შესწავლით, რომლებიც ბევრ საქმიან წინადადებას, კრიტიკულ შენიშვნას შეიცავს, სათანადო დასკვნებს გააკეთებდა და იბრძოლებდა მათი განხორციელებისათვის, მაგრამ ასე როდი მოხდა. აღმასკომს შეეძლო სესიაზე ეთქვა, თუ როგორ ფიქრობდა ამომრჩეველთა მოთხოვნების განხორციელებას (ეს მათ სერიოზულ დახმარებას გაუწევდა მუშაობაში), მაგრამ ამასაც თავი აარიდეს. აღმასკომის არაოპერატიულ მუშაობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 18 მარტს, ეყრდნობოდნენ რა ამომრჩეველთა მოთხოვნებს, აღმასკომის სხდომაზე განიხილეს სოფელ ბაზში კლუბისა და ხიდის შეკეთების საკითხი, მიიღეს სათანადო დადგენილებაც, მაგრამ მის პრაქტიკულ განხორციელებას ჯერ არ შესდგომიან.

ამომრჩეველთა განაწესის შესრულებაში ნაკლოვანებები აქვს აგრეთვე ღორეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ე. კაპანაძე). 1954 წელს დეპუტატმა შ. მუხურაძემ დააყენა საკითხი წყაროს გაყვანის შესახებ, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ასევე 1954 წელს დადგა საკითხი მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლის აგების შესახებ, მაგრამ ამ მხრივ დღემდე ბევრი არაფერია გაკეთებული. კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი. 1955 წლის 31 მარტს სესიაზე განიხილეს საკითხი ღორეშის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე საავადმყოფოს გახსნის შესახებ. ერთხმად აღინიშნა, რომ მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად ღორეშში, რომელიც რაიონულ ცენტრს 30 კილომეტრით არის დაშორებული, აუცილებელია საავადმყოფოს გახსნა. სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ღორეშში ათსაწოლიანი საავადმყოფოს გახსნის საკითხი დაესვათ რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე. საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. სასოფლო საბჭოს აღმასკომი მხოლოდ ოქმის გადაგზავნით დაკმაყოფილდა.

ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ე. ბაშიძე) გარკვეულ მუშაობას ეწევა ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. რაისაბჭოს აღმასკომმა სისტემატური კონტროლი უნდა გაუწიოს, თუ როგორ ახორციელებენ სასოფლო საბჭოების აღმასკომები ამომრჩეველთა განაწესს, რამდენად დროულად ეხმაურებიან მშრომელთა მოთხოვნებს და კრიტიკულ შენიშვნებს.

ამომრჩეველთა განაწესის შესრულება სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და რაისაბჭოს აღმასკომის პირველი რიგის ამოცანაა.

**ვ. მეზუკე,**
**დ. ლილუაშვილი.**

# ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული დონე

მთელ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს დიადი, ყოვლისძლე მოძღვრებით — მარქსიზმ-ლენინიზმით. კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა, მათი იდეურ-თეორიული დონის ამაღლება ჩვენი პარტიის ყოველდღიური მზრუნველობის საგანია. ამ მხრივ დიდი როლი ენიჭება პარტიულ პროპაგანდას, განსაკუთრებით ლექციურ პროპაგანდას, რომელსაც უაღრესად დიდი თეორიული, შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი კომუნისტებისა და მშრომელთა ფართო მასების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში.

იდეურად გამართული, მაღალ მეცნიერულ დონეზე წაკითხული ლექცია ეხმარება მშრომელებს იმაში, რომ ყოველმხრივ გაერკვნენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ღრმად შეითვისონ პარტიისა და ხალხის წინაშე მდგომი კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, მიიღონ აქტიური მონაწილეობა მათს გადაწყვეტაში.

პარტიის XVIII ყრილობაზე ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ უნდა „მიზანშეწონილად ჩაითვალოს პარტიის წევრთა მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ინდივიდუალური შესწავლის მეთოდი და პარტიის მთავარი ყურადღება მიექცეს პრესაში პროპაგანდის გაშლას და პროპაგანდის ლექციური სისტემის ორგანიზაციას“. პარტიის ისტორიისა და თეორიის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კონკრეტულ საკითხებზე წაკითხული მაღალიდეური ლექციები დიდ დახმარებას უწევს კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლის საქმეში. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, რაიონული და საქალაქო კომიტეტების საპატიო მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ ლექციური პროპაგანდის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის, კვალიფიციური ხელმძღვანელობით გააუმჯობესონ მისი ხარისხი, სწორად შეარჩიონ ლექციების თემატიკა და დაგეგმონ იმ ორგანიზაციების მიხედვით, სადაც აუცილებელია ამა თუ იმ თემაზე ლექციის წაკითხვა, ამასთან შეუქმნან ლექტორებს ყველა პირობა ლექციების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლექციების ტექსტების განხილვას ლექტორთა ჯგუფების სხდომებზე. ამასთანავე პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ ლექტორების ურთიერთდასწრება და წაკითხული ლექციების გარჩევა, რაც საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ ლექციების კითხვის ხარისხი.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლექტორთა ძალებით პარტიული განათლების ქსელში გასულ სასწავლო წელს წაკითხულ იქნა 1.600 ლექცია პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის და სხვა საკითხებზე. ლექციურ პროპაგანდაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ლექტორები ამხ. ს. ბერაძე, დ. ბუდილევი, პ. თავხელიძე, ნ. ცხაკაია, გ. გეიშიანი, დ. მშვენიერაძე, გ. სახაროვი და სხვები. მაგრამ ლექტორებს შორის იყვნენ ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც თავს არიდებდნენ ლექციების წაკითხვას და აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ ლექციური პროპაგანდის საქმეში.

პარტიის თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის მუშაობის უაღრესად დიდი ნაკლი ის იყო, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ლექტორთა ჯგუფის სექციების წევრთა სხდომებზე სისტემატურად არ ხდებოდა ახლად მომზადებული ლექციების ტექსტების განხილვა. ლექტორთა ჯგუფი სუსტ დახმარებას უწევდა პარტიის რაიონული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფებს. როგორც წესი, პრაქტიკაში არ იყო შემოღებული ლექტორების ურთიერთდასწრება, წაკითხული ლექციების განხილვა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ლექტორი თავს არიდებდა ლექტორთა ჯგუფში ლექციის ტექსტის წარდგენას. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ლექტორთა ერთი ნაწილი შეჩვეული არ არის ამხანაგურ, პრინციპულ კრიტიკას, შეგნებული არა აქვს ლექციის ტექსტის ან ლექციაზე დასწრების შედეგების გარჩევის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ლექციების ხარისხის, მათი იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული დონის მკვეთრად ამაღლების საქმეში. ლექტორთა ჯგუფების ზოგიერთი წევრი წლის განმავლობაში არ ამზადებს ახალ ლექციებს, ხოლო ზოგიერთი კმაყოფილდება 1 ან 2 ლექციით. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ლექტორების ერთი ნაწილი სისტემატურად არ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური და თეორიული ცოდნის ამაღლებაზე. ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთი ამხანაგი ფორმალურად ირიცხება ლექტორთა ჯგუფში, მონაწილეობას არ იღებს სალექციო მუშაობაში, ხოლო რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები, ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელები ამ მდგომარეობას ურიგდებიან.

ზოგიერთი ლექტორი ლექციის წასაკითხავად ცხადდება ლექციის ტექსტის, კონსპექტის ან თეზისების უქონლად, რაც დაბლა სწევს წაკითხული ლექციის ხარისხს, ხდის მას უმიზნოს, ზერელეს. მიმდინარე წლის 20 მაისს ქარხანა „დაზგის“ მუშა-მოსამსახურეებისათვის პარტიის ლენინის რაიკომის ლექტორმა ამხ. ა. ბოკუჩავამ წაიკითხა ლექცია თემაზე „ალკოჰოლიზმი და მასთან ბრძოლა“. ლექციის კითხვის დროს ამხ. ა. ბოკუჩავამ მაგალითისათვის დაასახელა სხვა ქარხნის მუშა ვინმე გ. ნ., რომელიც სისტემატური ლოთობის შედეგად ხულიგნური საქციელისათვის მილიციის ორგანოებში მოხვდა, მაშინ როცა თვით ამ ქარხნის მუშა საიაპინი სისტემატური ლოთობისათვის ადმინისტრაციის მიერ მოხსნილი იყო სამუშაოდან. გარდა საიაპინისა, ამ ქარხნის ზოგიერთი სხვა მუშა-მოსამსახურეც სისტემატურად ლოთობს. ცხადია, ლექცია გაცილებით საინტერესო იქნებოდა, რომ ამხ. ა. ბოკუჩავას თავის ლექციაში თვით ამ ქარხნის მუშების ცხოვრებიდან მოეყვანა მაგალითი.

ზოგჯერ ადგილი აქვს ლექციების შეცვლის შემთხვევებს. 19 მაისს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დანიშნული იყო ლექცია — „მძიმე ინდუსტრია საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური განვითარებისა და ძლიერების წყაროა“. ამის ნაცვლად თბილისის კომიტეტის ლექტორმა ამხ. ვ. ჩიხლაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი“. ლექცია დაიწყო დაგვიანებით, ლექტორმა მთელი რიგი დებულებანი არადამაკმაყოფილებლად განმარტა, რის გამო მსმენელთა უმრავლესობისათვის საკითხი გაურკვეველი დარჩა. ლექცია არ იყო დაკავშირებული ქარხნის კოლექტივის საქმიანობასთან, ატარებდა აკადემიურ ხასიათს და მსმენელებისათვის მიუწვდომელი იყო. ამავე დღეს ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორმა ნ. კოკაიამ ელექტროფიკაციის მეოთხე უბნის მუშა-მოსამსახურეებისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე „კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა“. ნ. კოკაიას არ ჰქონდა ლექციის ტექსტი, გეგმა, თეზისები, კონსპექტი. ლექციის ხანგრძლივობა უდრიდა 30 წუთს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ამხ. კოკაია გამოვიდა სხვა ლექტორის მაგივრად. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ზოგიერთ ლექტორს ლექციის წაკითხვა დავალების ფორმალურ შესრულებად მიაჩნია. ისინი ნაკლებად ზრუნავენ ლექციის ხარისხისათვის, არ აინტერესებთ ხელს უწყობს თუ არა ლექცია მსმენელთა იდეურ-პოლიტიკური და თეორიული ცოდნის ამაღლებას, მათს მობილიზაციას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი როდია.

პარტიული ორგანიზაციების სალექციო მუშაობაში მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ლექციების დაგვიანებით დაწყების, ლექციების გადადების ან ჩაშლის შემთხვევები. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ლექციების სწორად დაგეგმვას, არ ითვალისწინებენ კომუნისტებისა და უპარტიოების მოთხოვნილებებს. ხშირად ლექციების თემატიკას ერთპიროვნულად შეარჩევს ხოლმე პარტიული ორგანიზაციის მდივანი რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების რომელიმე მუშაკთან „შეთანხმების“ საფუძველზე. შამპანური ღვინის ქარხნის, № 7 სამკერვალო ფაბრიკის, მუსიკალურ-საავეჯო კომბინატის, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციების მდივნები ამხ. ა. დავითაია, თ. ილურიძე, დ. ბაბუციძე, ლ. გოგიჩაძე ლექციების მოწყობის თვიურ ან კვარტალურ გეგმებს არ ადგენენ, პარტიის რაიკომში არ აყენებენ მოთხოვნებს ლექციების მოწყობის შესახებ. ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში 1954 წლის ივლისიდან 1955 წლის მაისამდე წაკითხულია მხოლოდ 10 ლექცია. აქედან პარტიის ისტორიის საკითხზე წაკითხულია მხოლოდ 1 ლექცია. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა კომუნისტებისა და უპარტიოებს თვითგანათლების საქმეს. „პლასტმასის“ ქარხანაში 1954 წლის ივნისიდან დეკემბრამდე მხოლოდ ერთი ლექციაა წაკითხული. მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში მოწყობილი 6 ლექციიდან არცერთი არ არის პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, მარქსისტული ფილოსოფიის, ათეისტური პროპაგანდის, ხალხთა მეგობრობის და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ასეთივე მდგომარეობაა ლენინის რაიონის მუსიკალურ-საავეჯო კომბინატის, შუშის ქარხნის, ქარხანა „დაზგის“, № 7 სამკერვალო ფაბრიკის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

აღნიშნული პარტიული ორგანიზაციები ლექციებს არ იყენებენ როგორც მშრომელთა პოლიტიკური აღზრდის, მათ შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვის უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებას. ამასთან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ყურადღებას არ აქცევენ ლექციებზე მუშა-მოსამსახურეების დასწრების საკითხს. მაგალითად, შუშის ქარხანაში ლექციას ესწრება კოლექტივის წევრთა მხოლოდ 10 პროცენტი. ბევრგან არ აღრიცხავენ არა მარტო მსმენელთა დასწრებას, არამედ იმასაც, თუ რამდენი ლექციაა წაკითხული კვარტალის ან ერთი წლის განმავლობაში.

პარტიის რაიკომების და პირველადი პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით უნდა აიხსნას ის, რომ სალექციო მუშაობაში არ აბამენ საწარმო-დაწესებულებაში მომუშავე უმაღლესი განათლების მქონე ამხანაგებს, არ ეხმარებიან მათ ლექტორისათვის საჭირო ოსტატობის დაუფლებაში. ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში უმაღლესი განათლების მქონე რამდენიმე ათეული სპეციალისტი მუშაობს, ბევრი მათგანი ხელმძღვანელ სამუშაოზეა. მათ შორის არიან ინჟინრები, ეკონომისტები, ექიმები, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის ჩაბმული სალექციო მუშაობაში. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ მთელ რიგ მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში დღემდე არ არის შექმნილი ლექტორიუმები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კომკავშირულ ორგანიზაციებში ლექციური პროპაგანდის დაყენებას. ამის გამო კომკავშირელთა და ახალგაზრდების ნაწილი მოკლებულია ლექციურ პროპაგანდას. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, სადაც 675 კომკავშირელია, 11 თვის განმავლობაში მხოლოდ 2 ლექციაა წაკითხული. ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდებს შორის ლექციური პროპაგანდის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდებს შორის.

პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ სხვადასხვა ორგანიზაციების სალექციო ჯგუფების მუშაობის კოორდინაციას, ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში, მშენებლობებზე, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში და სხვაგან ლექციებს კითხულობენ საქართველოს კპ თბილისის და რაიონული კომიტეტების, საქართველოს სს რესპუბლიკის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიუროს, საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების, ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტსამმართველოს და სხვა ორგანიზაციების ლექტორები. ხშირად საქმე ისე ეწყობა, რომ რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებმა არ იციან, თუ სად, რომელ ორგანიზაციაში, ვისთვის, რა თემაზე, რომელი ლექტორი კითხულობს ლექციას. ამის შედეგად ხშირია ლექციების დამთხვევა, პარალელიზმი. რაიკომები მოკლებული არიან საშუალებას განახორციელონ ხელმძღვანელობა ლექციების ორგანიზაციაზე, თვალყური ადევნონ ლექციების ხარისხს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამ მდგომარეობის შედეგად ამა თუ იმ ორგანიზაციას ცალკეული პირები თავს ახვევენ თავიანთ ლექციებს და პარტიული პროპაგანდის ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს პირადი შემოსავლის წყაროდ იყენებენ.

განა უგეგმო მუშაობით არ უნდა აიხსნას ის, რომ საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორთა მიერ ლენინის რაიონში ერთი წლის განმავლობაში მოწყობილი 150 ლექციიდან 37 ლექცია წაკითხულია სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, ხოლო პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე არ წაკითხულა არცერთი ლექცია. როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ლექტორების მიერ იმავე რაიონში წლის განმავლობაში წაკითხული 74 ლექციიდან პარტიის ისტორიის, პოლიტეკონომიისა და მარქსისტული ფილოსოფიის საკითხებზე არცერთი ლექცია არ წაკითხულა. სრულიად არანორმალურად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ 74 ლექციიდან მარტო ლექტორ ნ. კანდელაკს წაუკითხავს 19 ლექცია. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიურო უფრო მეტ ყურადღებას რომ აქცევდნენ ლექციების დაგეგმვის, თემატიკის და ლექტორთა შერჩევის საქმეს, ასეთ შეუსაბამობას ადგილი არ ექნებოდა.

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ლექტორთა ჯგუფების მუშაობას, ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილონ ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით, პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა დასახონ ღონისძიებები ზაფხულში ლექციური პროპაგანდის შემდგომი გაძლიერებისათვის.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ლექციური პროპაგანდა უპასუხებდეს კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს.

**ნ. ჭახრაკია,**

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ტექნიკის ათვისებით, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდით

★ ★ ★

## თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა შეასრულა მეხუთე ხუთწლედი

თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში ამ რამდენიმე დღის წინათ შეაჯამეს მეხუთე ხუთწლედის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები, რამაც კარგი სურათი მოგვცა. გამოირკვა, რომ წლიური გეგმების მიხედვით ქარხნის კოლექტივმა მეხუთე ხუთწლედის დავალება უკვე შეასრულა და ხუთწლედით გათვალისწინებული მოცულობის პროდუქციის გამოშვებას გადააჭარბა 300 ათასი მანეთით.

გასული წლის შემოდგომაზე მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივით წამოწყებულ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მეხუთე ხუთწლედის შესრულება იკისრეს მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის. არსებითად მათ ეს დავალება გაანაღდეს დათქმულ დროზე ორი თვით ადრე — 1 ივნისისათვის.

შრომის ნაყოფიერების გადიდება ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებული იყო 1950 წლის დონესთან შედარებით 65 პროცენტით, ფაქტიურად შრომის ნაყოფიერება 1950 წლის დონესთან შედარებით უკვე გადიდებულია 93 პროცენტით; პროდუქციის თვითღირებულება უნდა შემცირებინათ იმავე 1950 წლის დონესთან შედარებით 28 პროცენტით, შეამცირეს 32 პროცენტით.

მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ქარხანაში აითვისეს და მოაწყეს მაღალხარისხოვანი ელექტროდების წარმოება, ლითონშესადუღებელი ელექტროავტომატებით მუშაობა, მთელ რიგ ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვების ტექნოლოგია.

ამ მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვების აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ა. ფილიპოვი, მთავარი ინჟინერი გ. ფანცულაია, პარტბიუროს მდივანი ნ. ტურიაშვილი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე კ. ჭკუასელი) იკისრა წლის ბოლომდე ხუთწლედის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 6 მილიონი მანეთის პროდუქცია.



თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის ეზოში. სურათზე: ეშელონის დატვირთვა ყამირი მიწების ათვისების რაიონებში გასაგზავნი ცისტერნებით.
ფოტო შ. გოქაძისა.

★

## ახალი შრომითი მიღწევების მოსაპოვებლად

**ა. ფილიპოვი,**
ქარხნის დირექტორი.

დიდი სიხარულით აღინიშნა ამ დღეებში თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვება — 1 ივნისისათვის მეხუთე ხუთწლედის დავალებათა შესრულება.

ამჟამად მეხუთე ხუთწლედის გადამეტებით გამოშვებულია დიდი თანხის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება 1950 წლის დონესთან შედარებით გადიდებულია 93 პროცენტით, ხოლო ძირითადი პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 32 პროცენტით.

ეს გამარჯვება მოპოვებულია ქარხნის მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით, ტექნიკური პროგრესისათვის შეუნელებელი ბრძოლით, საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის მტკიცედ დარაზმვით.

თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა 1927 წელს ჩამოყალიბდა. მისი მოწყობილობა, განსაკუთრებით ლითონსაჭრელი ტექნოლოგიური დანადგარები, ახლა უკვე მოძველებულად ითვლება. სამაგიეროდ ლითონშესადუღებელი ელექტრომოწყობილობა უახლესი გვაქვს, და ამ ახალი ტექნიკის გამოყენებამ დიდად შეგვიწყო ხელი საწარმოო გეგმების სისტემატურად და გადაჭარბებით შესრულებაში.

მშენებლობის მასშტაბების შეუნელებელი ზრდის გამო ჩვენი ქარხნის ნაწარმზე მოთხოვნილება განუხრელად იზრდება. ამიტომ ქარხანასაც საწარმოო დავალებები ყოველწლიურად უდიდდება. მაგალითად, 1955 წლისათვის ჩვენს საწარმოს დაეკისრა 43 პროცენტით მეტი პროდუქციის გამოშვება, ვიდრე 1954 წლის გეგმა ითვალისწინებდა. წელს მარტო ყამირი მიწების ამთვისებლებს უნდა გავუგზავნოთ ათასობით რეზერვუარი, ცისტერნი და კასრი.

სხვა საწარმოთა კოლექტივებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით საჭიროა აქ აღვნიშნოთ ის ძირითადი ღონისძიებანი, რომლებმაც გაგვიადვილა მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულება.

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ საწარმოს გამართული მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ხელმძღვანელობის ხარისხს, შრომისა და წარმოების ორგანიზაციას. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ თუ არ შევქმნიდით დაუმთავრებელი ნაწარმის გარდამავალ მარაგს, მაშასადამე, თუ საამქროებს და საწარმოო უბნებს თვის დასაწყისიდანვე არ უზრუნველვყოფდით ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით, ისე შეუძლებელი იქნებოდა რიტმულობის მიღწევა, თანდათან მზარდი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვება.

მაგრამ ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმის მოგვარებას. ამ მხრივ კი ჩვენს ქარხანას, ისევე როგორც ზოგ სხვა ლითონდასამუშავებელ საწარმოს, მრავალი შეფერხება ელოდებოდა. ცხადია, სახალხო მეურნეობის ინტერესთა თვალსაზრისით შეუწყნარებელია ნედლეულისა და დამხმარე მასალის წინასწარ ხანგრძლივი პერიოდისათვის მომარაგება. არსებული წესის მიხედვით ჩვენ უფლება გვაქვს ვიქონიოთ ოცი დღისათვის საჭირო ნედლეულისა და დამხმარე მასალების მარაგი. ამიტომ საქმე თავიდანვე ისე მოვაწყეთ, რომ ყოველთვის ვახერხებთ შემდგომი თვისათვის საჭირო ნედლეულის ამ თვის ბოლომდე მიღებას. დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად პირდაპირი კავშირი დავამყარეთ მომწოდებელ მეტალურგიულ ქარხნებთან, ვინაიდან ლითონგასაღების ბაზის მონაწილეობა მომარაგების საქმეში მხოლოდ დოკუმენტების გაფორმებით გამოიხატება. ლითონგასაღების ბაზის ხელმძღვანელები რომ უფრო მოქნილად მუშაობდნენ და ჩვენი საჭიროებებისადმი გულშემატკივრობას იჩენდნენ, მათთვის გვერდის ავლა არ დაგვჭირდებოდა.

მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ჩვენი ქარხნის კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა ხუთწლედის განაღდება 1955 წლის 1 აგვისტოსათვის. ეს დავალება ქარხნის კოლექტივმა, როგორც აღვნიშნეთ, ორი თვით ადრე გაანაღდა, მაგრამ მაშინ ხუთწლედის შესრულების ამოცანა დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა. ამიტომ შევუდექით ახალ შესაძლებლობათა ძიებას.

ერთ-ერთ საწარმოო თათბირზე გადავწყვიტეთ მუშაობის სანარდო ინდივიდუალური წესი შეგვეცვალა სანარდო ბრიგადული მუშაობის წესით. ეს მიზანშეწონილად მივიჩნიეთ იმიტომ, რომ ძველი წესის დროს სამუშაო ადგილთა სიმრავლის გამო გართულებული იყო შრომის შეუფერხებლობის უზრუნველყოფა, დაუმთავრებელი ნაწარმის და ნედლეულის განაწილება, ჩამორიგება, ყოველი სამუშაო ადგილის მიხედვით ხელსაწყოებისა და იარაღების დროულად მიწოდება და ა. შ. პირველად ცდის სახით შევქმენით ერთი კომპლექსური ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელობა მივანდეთ წარმოების მოწინავე ადამიანს ამხ. ვ. ხარატიშვილს. ბრიგადაში 7 კაცი შევიყვანეთ. პირველ თვეშივე მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ ბრიგადული წესით მუშაობა ბევრად უფრო მიზანშეწონილი იყო, ვიდრე ინდივიდუალურად მუშაობა. გარდა იმისა, რომ გაადვილდა ბრიგადის უზრუნველყოფა სამუშაოს მიცემით, საგრძნობლად გაიზარდა ბრიგადის ყოველი წევრის შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და აღიკვეთა სამუშაო დროის გაცდენის შემთხვევები.

მეხუთე ხუთწლედის შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა განხორციელებამ — შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვამ, რაციონალიზატორული აზრის ფართოდ გამოყენებამ და ა. შ.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში არა მარტო უზრუნველყოს 1955 წლის გეგმის შესრულება, არამედ ამ გეგმის გადამეტებით რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქციაც მისცეს სამშობლოს.

## სოციალისტური შეჯიბრების დროშით

მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში გამარჯვება ჩვენი ქარხნის კოლექტივს აღაფრთოვანებს შემდგომ მუშაობაში ახალ საწარმოო მიღწევათა მოსაპოვებლად.

მთავარი ღონისძიება, რომელმაც ქარხნის მუშებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს გაუადვილა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიერ წამოწყებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება, 1 აგვისტოს ნაცვლად ხუთწლედის 1 ივნისისათვის შესრულება, არის შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღება.

ბაზას, რომლის საფუძველზეც ჩვენს კოლექტივს შეეძლო შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა, წარმოადგენს უახლესი ელექტროშესადუღებელი ტექნიკა, რომელიც ჩვენმა მუშებმა უნარიანად აითვისეს. ვინც უკეთესად, მოუცდენლად, სრული დატვირთვით ამუშავებს ელექტროშესადუღებელ დანადგარებს, ცხადია, მისი შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალი იქნება, მაშასადამე, გამომუშავებაც მას მეტი ექნება.

საქარხნო კომიტეტმა, რომელიც მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს კოლექტივის სოციალისტურ შეჯიბრებას, სოციალისტური შეჯიბრების ცენტრალურ ამოცანად დასახა არსებული ახალი ტექნიკის უკეთესად გამოყენება და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა. ამ მხრივ ჩვენმა პროფაქტივმა დიდი მუშაობა გასწია. ავუხსენით და განვუმარტეთ ყველა მუშას, რომ შეჯიბრების ხელშეკრულებაში შესატანად შეემუშავებინათ კონკრეტული ვალდებულებანი, გაეთვალისწინებინათ მიღწეულ დონესთან შედარებით გადიდებული მაჩვენებლების მოპოვება.

ამასთან საქარხნო პროფორგანიზაციამ ფართოდ გაშალა მუშაობა მოწინავე ადამიანთა შრომის მეთოდების განზოგადებისათვის, გამოცდილების ურთიერთგადაცემისათვის. საამქროთა და საწარმოო უბანთა პროფრწმუნებულები თუ შეატყობდნენ, რომ ესა თუ ის მუშა ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებას ვერ ასრულებდა, დაუყოვნებლივ მიმართავდნენ დახმარებისათვის საქარხნო კომიტეტს. საქარხნო კომიტეტი კი ასეთი მუშისათვის დახმარების გასაწევად გზავნიდა იმავე პროფესიის დაწინაურებულ სხვა მუშას.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში შემოვიღეთ ხელშეკრულებათა ყოველთვიურად განხილვის პრაქტიკა, რაც კარგ შედეგს გვაძლევს. მაგალითად, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. ხარატიშვილმა, რომელიც ლ. ოთარაშვილის ასეთსავე ბრიგადას ეჯიბრება, იკისრა 1955 წლის გეგმის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად ყოველთვიური საწარმოო დავალებები შეესრულებინა 180 პროცენტით. ამ მაჩვენებლის მიღწევას ბრიგადის წევრები ვარაუდობდნენ მოწინავეთა მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვით. მართლაც აქ ყველამ შეისწავლა მუშაობის გაუმჯობესებული ხერხი და ამის შედეგად მაისში ბრიგადამ თვიური დავალება 320,2 პროცენტით გაანაღდა. ლ. ოთარაშვილის ბრიგადამ მაისში ნაკისრი 190 პროცენტის ნაცვლად გეგმა 314 პროცენტით შეასრულა.

ივნისში ბრიგადებმა განაახლეს ხელშეკრულება და იკისრეს: ხარატიშვილის ბრიგადამ — თვიური საწარმოო დავალებების შესრულება სულ მცირე 322 პროცენტით, ხოლო ოთარაშვილის ბრიგადამ—სულ მცირე 315 პროცენტით. ასევე ხდება ინდივიდუალური სოციალისტური ხელშეკრულებების განახლება.

საჯაროობა, შეჯიბრებაში დაწინაურებულთა მიღწევების პოპულარიზაცია და ხელშეკრულებათა განახლების მთელი საწარმოს კოლექტივისათვის შეტყობინება დიდად ამაღლებს შეჯიბრების მონაწილეთა პასუხისმგებლობას და ახალი მიღწევებისათვის მათი ბრძოლის ხალისს.

მაგრამ შეჯიბრების ორგანიზაციაში გვაქვს ნაკლოვანებებიც, რომელთა გამოსასწორებლად საქარხნო კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. მთავარი ნაკლი ის არის, რომ არა გვაქვს შედეგების სისტემატური აღრიცხვა. ამ ნაკლს მოკლე დროში გამოვასწორებთ.

**კ. ჭკუასელი,**
ინჟინერი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.

## მ უ შ ე ბ ი მოგვითხრობენ

### პროფესიების შესწავლა

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქარხანაში ჩამოყალიბდა კომპლექსური ბრიგადები, რომლებშიაც შედიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები — ზეინკლები, ამწყობები, ელექტროშემდუღებლები, ავტომატებსა და ნახევრადავტომატებზე მომუშავეები.

ბრიგადის წევრები შეუდგნენ პროფესიების შესწავლას, და ახლა თუ ბრიგადაში სამუშაოდ რაიმე მიზეზის გამო რომელიმე არ გამოცხადდა, საქმე ამით არ ბრკოლდება, ვინაიდან სამუშაოთა კომპლექსი მაინც სრულდება. მომიჯნავე პროფესიების ათვისებამ აღკვეთა მუშათა გაცდენის შემთხვევები, გაადიდა შრომის ნაყოფიერება და მუშათა საშუალო გამომუშავება.

კომპლექსურ ბრიგადაში პროფესიების ურთიერთისაგან შესწავლა, როგორც გამოცდილება მარწმუნებს, საერთო წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა.

**ვ. ხარატიშვილი,**
ამწყობთა ბრიგადირი.

### შ ე მ დ გ ო მ ი წინსვლისათვის

შრომის ნაყოფიერების ზრდას, როგორც ცნობილია, დიდად აფერხებს შრომის დანორმვის შეუფარდებლობა წარმოების განვითარების მიღწეულ დონესთან.

წინათ ჩვენ უმთავრესად საცდელ-სტატისტიკური ნორმებით ვხელმძღვანელობდით. ეს ნორმები, რასაკვირველია, არ ასახავდნენ მოწინავე ადამიანთა უახლეს მიღწევებს, არ იძლეოდნენ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის ბრძოლის სტიმულს. ახლა ჩვენს ქარხანაში თანდათან გადავდივართ მეცნიერულად და ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით ხელმძღვანელობაზე, რაც ხელს შეუწყობს ახალი ტექნიკის სრული სიმძლავრით ათვისებას.

ელექტროშემდუღებელ ავტომატებს საათში შეუძლიათ მოგვცენ 60 გრძივი მეტრი შედუღებული ხაზი. ჩვენთან კი ამ ავტომატთა წარმადობა საათში 35-38 მეტრს, იშვიათ შემთხვევაში 40 მეტრს არ აღემატება.

ავტომატთა წარმადობის გადიდება, მათი სრული სიმძლავრით მუშაობის მიღწევა კი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორებია ფლუსის შერჩევა, ავტომატებისათვის ყველაზე მეტად შესაფერისი სამუშაო რეჟიმის გამონახვა და მათზე მომუშავე შემდუღებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამ საკითხების მოწესრიგებას ქარხნის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა ამით უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი ზრდა.

**ო. გლუნჩაძე,**
ოსტატი, კომკავშირელი.

### ს ა კ უ თ ა რ ი ელექტროდებით

ელექტროდის მაღალ ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლითონების მაღალხარისხოვნად შედუღებისათვის. ჩვენს ქარხანას 1955 წლის იანვრამდე ჩვეულებრივი ელექტროდებით ამარაგებდნენ და ეს დიდად აბრკოლებდა შრომის ნაყოფიერების ზრდას. ზოგჯერ შედუღებული ნაწიბური ხელახლა შედუღებას საჭიროებდა, ეს ზედმეტი მასალის ხარჯვას იწვევდა და თანაც დიდ დროს ართმევდა შემდუღებლებს.

გასული წლის ბოლოს მაღალხარისხოვანი ელექტროდებით ქარხნის მომარაგების საკითხი საწარმოო თათბირის მსჯელობის საგანი გახდა. გადაწყდა ადგილობრივ მოგვეწყო მაღალხარისხოვანი ელექტროდების სახელოსნო, ჩვენი საჭიროებისათვის საკუთარი ხელით დაგვემზადებინა ეს მასალა. საქმეს სათავეში ჩვენი ინჟინრები ჩაუდგნენ, მოაწყეს სახელოსნო, შეგვარჩიეს რამდენიმე კაცი და გვასწავლეს მაღალხარისხოვანი ელექტროდების დამზადების ტექნოლოგია.

წელს იანვრიდან ქარხნის სახელოსნოში შევუდექით მაღალხარისხოვანი ელექტროდების გამოშვებას. ეს საქმე კარგად ავითვისეთ და, თუ ახლა ნედლეულით მოგვამარაგებენ, სრული შესაძლებლობა გვაქვს მაღალხარისხოვანი ელექტროდები სხვა საწარმოებსაც მივაწოდოთ.

**ი. ჯანიაშვილი,**
ელექტროდების სახელოსნოს ბრიგადირი.

## ავტომატიკისა და მექანიზაციისათვის

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ა. ბულგანინი ვრცლად შეჩერდა წარმოებაში ახალი ტექნიკის ათვისების დაჩქარების საჭიროებაზე და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, ტექნოლოგიის გაუმჯობესების მნიშვნელობაზე.

ახალი ტექნიკის დანერგვა ქმნის შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლების შესაძლებლობას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ამაღლებს წარმოების კულტურას. თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივს მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებაში დიდი სამსახური გაუწია სწორედ ამ ახალი ტექნიკის დანერგვამ და ათვისებამ. ჩვენი გამოცდილება ამ მხრივ საყურადღებოა.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისთანავე ქარხნის კოლექტივმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალი ტექნიკის, ავტომატიკის ათვისების საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის ამოცანას.

ლითონის კონსტრუქციების წარმოებაში მთავარი სამუშაოა ლითონების ელექტროშედუღება. წინათ ჩვენთან, ისევე როგორც ახლა ბევრ ლითონდამმუშავებელ საწარმოში, ლითონების ელექტროშედუღებას ხელით ვახდენდით. მიუხედავად იმისა, რომ მაღალხარისხოვან ელექტროდებს ვიყენებდით, ხელით შედუღების დროს მაინც ვერ შევძელით შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდება, ამასთან ვერ მივაღწიეთ პროდუქციის ხარისხის საგრძნობლად გაუმჯობესებას.

ხელით შედუღების დროს საშუალო კვალიფიკაციის შემდუღებელი ყოველ ერთ საათში 10 გრძივი მეტრის 4-8 მილიმეტრის სისქის ნაწიბურს ძლივს ადუღებდა ერთმანეთთან; გადავწყვიტეთ მიგვეღო და აგვეთვისებინა ლითონშესადუღებელი ახალი მოწყობილობა, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ. ეს მოწყობილობა, რომელიც გვაძლევს ლითონშედუღების ავტომატურად და ნახევრადავტომატურად წარმოების საშუალებას, რამდენიმე თვეა მივიღეთ და კიდევაც ავითვისეთ.

გარდა ამისა, მოვაწყეთ მბრუნავი სტენდები სხვადასხვა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის, შიდასაქარხნო ტრანსპორტირებისათვის გამოვიყენეთ თვითმძრავი ურიკები, შევუდექით ახალი ელექტრომოწყობილობისა და აპარატურის სრული სიმძლავრით ათვისებისათვის მუშაობას.

ავტომატური და ნახევრადავტომატური ელექტროშესადუღებელი მოწყობილობა ადვილი ასათვისებელი როდია. ჩვენ მოგვიხდა ქარხნის მოწინავე მუშების მივლინება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დიდ სამრეწველო ცენტრებში გამოცდილების მისაღებად; დახმარებისათვის მივმართეთ უკრაინის სსრ პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტს. უკრაინელმა მეცნიერებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს უახლესი ტექნიკის ათვისებაში და მოწყობილობის ტექნიკურ გაუმჯობესებაში.

უკვე მივაღწიეთ იმას, რომ ყოველ საათში ვახერხებთ 35-40 გრძივი მეტრის შედუღებას, მაგრამ აპარატურის საპროექტო სიმძლავრე — საათში 60 გრძივი მეტრის შედუღება ჯერ კიდევ ვერ უზრუნველვყავით.

შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას დიდად აფერხებს ე. წ. დამხმარე დროის ხანგრძლივობა. ელექტროდანადგარებზე შესადუღებლად რეზერვუარის, ცისტერნის ან ლითონკონსტრუქციის გამართვას, შემდეგ მოხსნასა და ჩამოღებას დიდი დრო სჭირდება. უახლოეს საბრძოლო ამოცანად დავისახეთ ამ უბანზეც გავაუმჯობესოთ წარმოება, მივაღწიოთ დამხმარე დროის შემცირებას და დანადგარებზე დასამუშავებელი კონსტრუქციების გამართვა-ჩამოღების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას.

ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდება. ყოველ დღეს მოაქვს ამ დარგში ახალი მიღწევები, თანდათან მზარდი მაჩვენებლები. დაწინაურდნენ უნარიანი, გონებამახვილი და შრომისმოყვარე ადამიანები, რომლებიც ახალი ტექნიკის ათვისების საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევენ. ესენი არიან ვ. ხარატიშვილი, პ. ჭარბაძე, გ. ეტიმოვი, ა. ვიბორნოვი, ა. ყიფიანი და სხვები.

მათ მხარდამხარ დაუღალავად იბრძვიან ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ჩვენი ინჟინერ-ტექნიკოსები — მ. იავრიანი, კ. ჭკუასელი და სხვ. კოლექტივის ასეთი ნაყოფიერი მუშაობა და ერთიანი სულისკვეთება შემდგომ მიღწევათა საწინდარია.

**გ. ფანცულაია,**
ქარხნის მთავარი ინჟინერი.

## მ ა ს ე ბ ი ს ს ა თ ა ვ ე შ ი

დიდი ორგანიზაციული მუშაობა გასწია ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ახალი ტექნიკის ასათვისებლად. მან დარაზმა ქარხანაში მომუშავე ნოვატორი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, მოახდინა ძალთა მობილიზაცია, რათა ახალი ტექნიკის ათვისებით უზრუნველეყო შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა და შეექმნა ყველა საჭირო წინაპირობა მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციამ უწინარეს ყოვლისა მოწინავე კომუნისტ ინჟინრებსა და მუშებს ნ. პანენკოს, დ. ნეპოჩტოვს, ი. ჯანიაშვილს, ე. ვოლხოვს, გ. ფანცულაიას, მ. იავრიანს და სხვებს მოუწოდა შესდგომოდნენ მუშაობას ახალი ტექნიკის ასათვისებლად. ამ პერიოდში მათ მრავალი შეფერხების გადალახვა მოუხდათ. პირველივე მიღწევები პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი კოლექტივის საკუთრებად გადააქცია. ამან წაახალისა მუშები ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლაში და სულ მოკლე დროში აამუშავეს ავტომატური დანადგარები.

ქარხანაში სააგიტაციო მუშაობაც სამეურნეო ამოცანების გადასაჭრელად გამოვიყენეთ. ახალი ტექნიკის ათვისებისათვის მოწინავე მებრძოლები ამავე დროს აგიტატორებად გამოვიყავით, ისინი ყოველდღე მოუთხრობდნენ ამხანაგებს თავიანთ გამოცდილებაზე, ამასთან მიუთითებდნენ იმ სიძნელეების დაძლევის საშუალებებზე, რომლებსაც მუშაობაში ხვდებოდნენ. ასეთმა აგიტაციამ აამოქმედა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი აზრი, აღძრა საერთო საქმის წარმატებაში საკუთარი წვლილის შეტანის სულისკვეთება, და ამრიგად დაიბადა იდეა — ელექტროშემდუღებელი ავტომატები გადაგვეყვანა მუდმივი დენით მუშაობაზე, რამაც დადებითი შედეგი მოგვცა.

მაგრამ ისევე როგორც მთელი ქარხნის კოლექტივის, საქარხნო პარტიული ორგანიზაციის მუშაობასაც ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი. ჩვენთან დაბალია წარმოების კულტურა, ცალკე სამუშაო ადგილები ისე არა გვაქვს მოწყობილი, როგორც საჭიროა, ცოტა რამ კეთდება მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, სათანადო ბრძოლა ვერ გავაჩაღეთ დანადგარების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისებისათვის.

პარტიული ორგანიზაცია ყველა ზომას მიიღებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის გასაუმჯობესებლად, რათა უზრუნველყოს პროგრესული ტექნოლოგიისა და ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა და სრული სიმძლავრით გამოყენება.

**ნ. ტურიაშვილი,**
საქარხნო პარტბიუროს მდივანი.

## საბჭოთა მეცნიერები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 22 ივნისი. (საკდესი). ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით თითქმის ორი თვეა, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუმრად არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბარდინი. საბჭოთა მეცნიერები პეკინს გარდა, იყვნენ ჩინეთის ბევრ ქალაქსა და სოფელში, შეხვდნენ ჩინელ მეცნიერებს, დაათვალიერეს ფაბრიკა-ქარხნები, სასწავლებლები, დაესწრნენ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიას, რომელიც ამას წინათ გაიმართა პეკინში. ყველგან — პეკინში, შანხაიში, ხანჯოუში, კანტონში, უხანში, ანშანსა და სხვა ქალაქებში საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეები გულითადად მიიღეს.

გუშინ სსრ კავშირის საელჩომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დარბაზობა გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის ყოფნის გამო.

## ბირმინჰამმა მიიღო სვერდლოვსკის მოწვევა დელეგაციის გამოგზავნის შესახებ

ლონდონი, 21 ივნისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, სვერდლოვსკის საქალაქო საბჭომ ქალაქ ბირმინჰამის დელეგაცია მიიწვია ინახულოს სვერდლოვსკი. დღეს პრეს ასოშიეიშნის სააგენტომ გადასცა, რომ ბირმინჰამის მუნიციპალურმა საბჭომ მიიღო ეს მიწვევა. ბირმინჰამის ლორდ-მერმა ა. ლ. გიბსონმა განაცხადა, რომ, თუ სვერდლოვსკი თანახმა იქნება, დელეგაცია გაემგზავრება აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის დამდეგს. დელეგაციაში შევლენ ლორდ-მერი და მისი მეუღლე, მრჩეველი ბალმერი, საერთო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბოუენი, მუნიციპალური საბჭოს მდივანი გრეგი და სხვები.

## სავაჭრო შეთანხმება უნგრეთსა და ნორვეგიას შორის

ბუდაპეშტი, 21 ივნისი. (საკდესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 20 ივნისს ხელი მოაწერეს უნგრეთ-ნორვეგიის შეთანხმებას საქონელბრუნვის შესახებ. შეთანხმებაში გათვალისწინებულია საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი გადიდება ორივე ქვეყანას შორის გასულ წელთან შედარებით.

უნგრეთი ნორვეგიას მიაწვდის საფეიქრო ნაწარმს, აბაზანებს, მოტოციკლებს, ელექტროხელსაწყოებს, მძიმე მრეწველობის მოწყობილობას, შაქარს, ბრინჯსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ნორვეგია უნგრეთში შეიტანს ხელოვნურ ბოჭკოს, რკინის მადანს, თუჯს, ფეროშენადნობებს, სამაგრ მასალას, ცელულოზას, ტყავსა და თევზის სხვადასხვა ნაწარმს.

## საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმატება ქალაქ ქანტის მუნიციპალურ არჩევნებში

პარიზი, 20 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ სერიოზული წარმატება მოიპოვა ქალაქ ქანტის მუნიციპალურ არჩევნებში. გამოიყენეს რა ყოველგვარი საბაბი, რეაქციულმა ძალებმა რამდენიმე ხნის წინათ მიაღწიეს იმას, რომ დაითხოვეს ქალაქ ქანტის მუნიციპალური საბჭო, რომელიც არჩეული იყო 1953 წელს, და იმედი ჰქონდათ ამით დაემარცხებინათ კომუნისტური პარტია. მაგრამ გუშინ გამართულ არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს ხმების 55,25 პროცენტი, ე. ი. მეტი, ვიდრე ამ ქალაქის წინანდელ არჩევნებში, და მუნიციპალურ საბჭოში შეიძინეს ორი ახალი ადგილი.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესია სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 21 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის მუშაობის დღეებში ეწყობა მის მონაწილეთა მრავალი შეხვედრა. 21 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა დარბაზობა გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების მეთაურების პატივსაცემად. დარბაზობაზე იყო საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

21 ივნისს დღისით ვ. მ. მოლოტოვი შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პინეს.

საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა სადილი გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიის მონაწილე დელეგაციების მეთაურთა პატივსაცემად. სადილზე იყო საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. მ. მოლოტოვი.

21 ივნისს საღამოს აქ გაიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრთან მაკმილანთან. საუბრის მსვლელობაში მოხდა აზრთა გაზიარება მიმდინარე საერთაშორისო საკითხებზე.

## ინდოეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობები მოსკოვში გამართული მიტინგისა და ჯავაჰარლალ ნერუს პრეს-კონფერენციის შესახებ

დელი, 22 ივნისი. (საკდესი). ყველა გაზეთი დიდი სათაურით და თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ცნობებს 21 ივნისს „დინამოს" სტადიონზე გამართული მიტინგის შესახებ, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობას, და ჯ. ნერუს პრეს-კონფერენციის შესახებ. გაზეთების უმრავლესობის მთავარი სათაურია: „ბულგანინმა მიიღო მიწვევა ჩამოვიდეს ინდოეთში".

## ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

ბრიუსელი, 22 ივნისი. (საკდესი). 18 და 19 ივნისს ბრიუსელში მიმდინარეობდა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟერარ ვან მიურკერკემ.

პლენუმის რეზოლუციაში აღნიშნულია მთელი რიგი მომენტები, რომლებიც ახასიათებენ ბელგიაში არსებულ ვითარებას. 1950 წელთან შედარებით კაპიტალისტთა მოგება ერთიორად და მეტად გადიდდა. მეწარმეებმა ამას მიაღწიეს მშრომელთა მასების ექსპლოატაციის გაძლიერებით. ტრესტების ზეგავლენით შემცირდა გადასახადი, რასაც მსხვილი მესაკუთრეებისაგან იღებდნენ, და ამავე დროს გადიდდა არაპირდაპირი გადასახადები.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშათა კლასის ბრძოლა თავის მოთხოვნათა განხორციელებისათვის, და ნათქვამია, რომ ამ ბრძოლის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა — სოციალისტთა და კომუნისტთა — მოქმედების ერთიანობას.

რეზოლუციის მეორე განყოფილებაში, რომელიც მიძღვნილია საგარეო პოლიტიკური საკითხებისადმი, ნათქვამია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება ხდება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა მეოხებით.

ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ძლიერდება ბელგიის საზოგადოებრივი აზრის მისწრაფება სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებისადმი, და მიესალმება მუშებისა და პროფკავშირული კრებების, პატრიოტული ორგანიზაციების მრავალ რეზოლუციას, რომლებიც მოითხოვენ ატომური იარაღის მოსპობას, ხალხთა შორის დაახლოების პოლიტიკის განხორციელებას, სამხედრო ბიუჯეტებისა და შეიარაღების შემცირებას.

გმობს რა ბელგიის მთავრობის პოლიტიკურ კურსს, რომელმაც გამოიწვია მიმდინარე წლის სამხედრო ბიუჯეტის ზრდა, ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბელგიას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, და მოუწოდებს მშრომელებს მიაღწიონ, რომ მთავრობამ განახორციელოს ამ ამოცანის შესაფერისი საგარეო პოლიტიკა.

რეზოლუციის დასკვნით ნაწილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ბელგიელი მშრომელებისა და ყველა დემოკრატის გაერთიანება ხალხის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

## ედგარ ფორის სიტყვა ეროვნულ კრებაში

პარიზი, 22 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ედგარ ფორმა გუშინ სიტყვა წარმოთქვა ეროვნულ კრებაში და განაცხადა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ ჟენევის თათბირს, რომელიც „ათი წლის განმავლობაში პირველად გაიმართება ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დონეზე".

„მთელი რიგი თაოსნობანი, რომლებიც ამას წინათ გამოიჩინა საბჭოთა კავშირმა, — განაგრძო ფორმა, — ადასტურებენ ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერიდან გაკეთებულ დასკვნებს და მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირს სურს შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა".

ამასთან დაკავშირებით ფორმა მოიხსენია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაციის ღონისძიებანი, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი.

შემდეგ ფორი შეეხო საფრანგეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთელ რიგ პრობლემებს.

შეეხო რა, კერძოდ, ალჟირის ამბებს, ფორმა განაცხადა, რომ „ამ ამბებთან დაკავშირებით ჩნდება დიპლომატიური ხასიათის პრობლემები". გადაკვრით ილაპარაკა რა იმაზე, რომ ამერიკის ზოგიერთი წრეები ცდილობენ ალჟირში შექმნილი ვითარება გამოიყენონ, რათა გამოდევნონ იქიდან ფრანგები, ფორმა მოითხოვა, რომ საფრანგეთს გაუწიონ „ერთსულოვანი მორალური მხარდაჭერა მისმა მოკავშირეებმა". „აფრიკის პრობლემის დიპლომატიურმა მხარემ, — დასძინა ფორმა, — ამ უკანასკნელ კვირეებში მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი მიაღებინა მთავრობას".

ფრანს პრესის სააგენტოს სიტყვით, ბევრი დეპუტატი ირონიული შეძახილებით შეხვდა ფორის შენიშვნას „მორალური მხარდაჭერის" შესახებ, რის იმედიც საფრანგეთის მთავრობას აქვს თავის მოკავშირეთაგან ჩრდილოეთ აფრიკის საკითხში.

## „ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის" მიმართვა

ბერლინი, 21 ივნისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს:

„ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის" გამგეობამ, რომლის სხდომა 17 ივნისს გაიმართა დიუსელდორფში, მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვს, რომ ბონის მთავრობამ სასწრაფოდ მიიღოს საბჭოთა წინადადება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით მოლაპარაკების მოწყობის შესახებ. ბუნდესტაგის დეპუტატებისადმი, ბუნდესრატის წევრებისა და დასავლეთ გერმანიის მხარეთა პრემიერ-მინისტრებისადმი მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს ყოფილი რაიხსკანცლერი დოქტორი ვირტი, ნათქვამია:

„ისარგებლეთ ამ შესაძლებლობით! იზრუნეთ იმისათვის, რომ გერმანელმა ხალხმა არ დაკარგოს ეს შანსი, როგორც უკვე დაკარგა ესოდენ ბევრი სხვა შანსი".

„ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის" გამგეობამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ პარიზის შეთანხმებათა განხორციელების წინააღმდეგ, გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის პოლიტიკური ბრძოლის აქტივიზაციას.

## საფრანგეთის ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენელთა დელეგაცია საქართველოში

22 ივნისს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა საფრანგეთის ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენელთა დელეგაციის წევრების ჯგუფი, რომელიც ექვს დღეს იყო საქართველოში სტუმრად. დელეგაციას მეთაურობს ბარნიოდი ანდრე.

დელეგაციის წევრები საქართველოში ყოფნის დროს გაეცნენ რესპუბლიკის ეკონომიკას, კულტურას, ახალგაზრდობის ცხოვრებას. მათ დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ თბილისის მთელ რიგ საწარმოებში, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სასპორტო ნაგებობებში, კულტურისა და დასვენების პარკებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

საფრანგეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები იყვნენ აჭარის ასს რესპუბლიკაში. აქ გაეცნენ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ჩაის ფაბრიკის მუშაობას. ფრანგ ქალიშვილებსა და ჭაბუკებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა დასასვენებელმა სახლმა და საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმმა მწვანე კონცხზე.

დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუჭავამ.

დელეგაციის წევრმა ქალბატონმა დ. ფაი ჟიზელმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა ყურადღებისათვის.

— ექვს დღეში, — თქვა მან, — ძალიან ბევრი რამ ვნახეთ. სამშობლოში რომ დავბრუნდებით, იქ ვუამბობთ, რომ საქართველომ საბჭოთა ხალხების ოჯახში მრავალმხრივი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

წასვლის წინ თბილისის ახალგაზრდობის წარმომადგენლები შეხვდნენ დელეგაციის წევრებს. შეხვედრამ გულთბილი მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა. (საქდესი).

## მუშა-დიპლომანტები



ნაშუადღევის სამი საათია. საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 78-ე აუდიტორიაში შეკრებილან პროფესორები, მეცნიერი მუშაკები, სტუდენტები. დღეს აქ სადიპლომო პროექტების დაცვა გაიმართება...

... დაფასთან დინჯად მიდის საშუალო ტანის ჩასკვნილი ახალგაზრდა, ხელში იღებს საჩვენებელ ჯოხს და დაბალი ხმით იწყებს დაფაზე გაკრული ნახაზების ახსნას.

ეს არის დიპლომანტი, თბილისის ავტოშემკეთებელი სახელოსნოს ჩქაროსანი ხარატი ოთარ ჭელიძე, რომელიც იცავს მანქანათმშენებლობაში ერთ-ერთი აქტუალური საკითხისადმი მიძღვნილ საკუთარ სადიპლომო ნაშრომს.

გამომცდელების და ოპონენტების სახეზე გამოხატული კმაყოფილება და გამამხნევებელი განწყობილება დიპლომანტს სიმამაცეს ჰმატებს. ეს მას ხმის ინტონაციაზეც, საჩვენებელი ჯოხის თავისუფლად ხმარებაზეც ემჩნევა. იგი დინჯად უპასუხებს პროფესორებს კითხვებზე.

ოთარ ჭელიძე მარტო თეორიით, მხოლოდ ნახაზებით როდი იცნობს სახარატო ჩარხებს. იგი ამ ჩარხებზე 14 წელიწადია მუშაობს, ამ ჩარხებით ყოველდღიურ დავალებებს 300-350 პროცენტით ასრულებს. ამავე დროს ოთარი რამდენიმე რაციონალური წინადადებისა და გამოგონების ავტორია.

სახელოსნოში თავის ჩარხთან მუშაობის დროს ოთარს არ აკმაყოფილებდა მცირე ცოდნა, რომელიც მას ჰქონდა, სწყუროდა თანამედროვე ტექნიკის დაუფლება, ლითონსაჭრელი თანამედროვე ტექნიკის ღრმად შესწავლა. ამიტომ 1949 წლიდან, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ განაგრძობდა სწავლას საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

გავიდა ახალგაზრდული ენთუზიაზმით აღსავსე შრომისა და დაძაბული სწავლის 6 წელი. სადიპლომოდ მან წარადგინა ლითონდამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთათვის პრაქტიკულად საინტერესო თემა: ერთ-ერთი ტიპის სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხის მთავარი კვანძის დეტალების დამუშავების ტექნოლოგია. სადიპლომო პროექტის საჯარო დაცვაზე ო. ჭელიძემ გამოამჟღავნა საგნის ღრმა ცოდნა, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული კარგი საწარმოო და თეორიული ჩვევები. საგამოცდო კომისიამ მისი სადიპლომო პროექტი და დაცვა „ხუთზე" შეაფასა.

ამავე დღეს სადიპლომო პროექტი დაიცვა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მთავარი მექანიკოსის განყოფილების საგეგმო-განმანაწილებელი ბიუროს უფროსმა დ. შალიგინმა.

წელს ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტს ამთავრებს 130 მომავალი ინჟინერი. სადიპლომო პროექტები უკვე დაიცვეს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კონსტრუქტორმა გ. მგელაძემ, ტექნოლოგმა პ. შველიძემ და სხვ.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის კურსდამთავრებული ო. ჭელიძე იცავს სადიპლომო პროექტს. მაგიდას უსხედან სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრები (მარცხნიდან): უფროსი მასწავლებელი ვ. დიდებულიძე, დოცენტი ბ. კელენჯერიძე, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე პროფესორი გ. გედევანიშვილი, დოცენტი გ. ჩიხლაძე, დოცენტი გ. უშვერიძე.

ფოტო ს. ონანოვისა.

## ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 24 და 25 ივნისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 14-19, დღისით 25-30 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 11-16, დღისით 19-24 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა. მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი უმეტესად დღის მეორე ნახევარში. ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 14-19, დღისით 25-30 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 8-13, დღისით 18-23 გრადუსი.

## ქრონიკა

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ყოველ ორშაბათსა და სამშაბათს დღის 1 საათიდან საღამოს 5 საათამდე გახსნილი იქნება სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა.

## ლექცია

23 ივნისს საღამოს 8 საათზე საქართველოს კ პ თბილისის კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში (ლენინის ქუჩა, 35), შედგება ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა". ლექტორი დოცენტი ზ. შ...ლიძე.

რედაქტორი ნ. ჯაში.


**ქ. თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას I და II კურსზე.

პირველ კურსზე მიიღებიან (სწავლების 3 წლის ვადით რუსულ და ქართულ სექტორებზე) არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ხოლო II კურსზე (სწავლების ორი წლის ვადით) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ფერშლის სახელწოდებით.

I კურსზე უგამოცდოდ მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები. დანარჩენნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-კარნახი, ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი).

II კურსზე უგამოცდოდ მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მედალოსნები. დანარჩენნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-კარნახი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი).

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები აკადემიური წარმატების მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, ხოლო სასწავლებლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, მოხვედრილნი გამოშვების 5%-ში, სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან უგამოცდოდ.

სასწავლებელში შემომსვლელმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი ზომით 3X4, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

საბუთები მიიღება ა. წ. 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

მისაღები გამოცდები I კურსზე დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო II კურსზე 22 აგვისტოს. მისამართი: ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაიონი, პეტრიაშვილის ქ. № 3. მე-2 სართული, ტელეფონი № 3-51-47.

**თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დოცენტის ან უფროსი მასწავლებლის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად **მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში:** ქართულ სექტორზე — 1 საშტატო ერთეული, რუსულ სექტორზე — 1 საშტატო ერთეული.

კონკურსის მონაწილეებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა 10 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 57.

**დღეს**

**თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა, რუსთაველის სახელობის — ესპანელი მღვდელი, მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი, გრიბოედოვის სახელობის — ბატონი ტოპაზი, სომხური დრამის — სასიძოები, მუსიკალური კომედიის — სალხინობელი.

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ქარიშხალი, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო) — ქართული ბალეტის ოსტატები, კომკავშირელი (საზამთრო), ოფიცერთა სახლი — რიო ესკონდიდო, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ავარა (I და II სერია), კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — თეთრთოვლა, კოლხიდა (საზაფხულო) — დედა, მამა, მოსამსახურე და მე, ისანი (საზაფხულო) — ვატერლოოს ხიდი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — კარდინალი რიშელიე, დიდუბე (საზაფხულო) — სილვა.

**„საქწიგნის" ხელისმოწერით გამოცემათა მაღაზია**

იღებს ხელმოწერას სამტომეულ „ენციკლოპედიურ ლექსიკონზე". ხელმოწერის გაფორმების დროს ხელისმომწერნი მიიღებენ I და II ტომებს.

ხელის მოწერისას ხელმომწერი წინასწარ გადაიხდის 25 მანეთს.

ხელმოწერის გაფორმება შეიძლება „საქწიგნის" № 1 მაღაზიაში, რუსთაველის პროსპ. № 44, საქართველოს სსრ რაიონებში „საქწიგნის" საფირმო მაღაზიებში.

**ზუგდიდის ჩაის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში მიღების პირობები**

I კურსზე 1955-56 სასწავლო წელს

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქჩაის" ზუგდიდის ჩაის ტექნოლოგიური ტექნიკუმი ამზადებს საშუალო განათლების სპეციალისტებს ჩაის ფაბრიკებისათვის — ტექნიკოს-ტექნოლოგის წოდებით. სწავლების ვადა 4 წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან: ორივე სქესის მოქალაქენი 14 წლიდან 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლის სრული კურსი ან ჩაბარებული აქვთ ექსტერნად გამოცდები 8-წლიანი სკოლის პროგრამის ფარგლებში. ასევე 9 და 10 კლასდამთავრებული მოსწავლეები მიიღებიან I კურსზე საერთო წესით. 1955-56 სასწავლო წლისათვის ტექნიკუმის I კურსზე მიღებული იქნება 60 მსმენელი.

განცხადებები მიიღება ყოველდღე გარდა გამოსასვლელი დღეებისა 31 ივლისამდე ტექნიკუმის შენობაში (ქ. ზუგდიდი, ორჯონიკიძის ქ. № 5).

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (პირი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული), ავტობიოგრაფია, სამი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ), მიწერის ცნობა (სამხედრო-ვალდებულთათვის), ჯანმრთელობის მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, 8-წლიანი სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), 8-წლიანი სკოლის ფრიადოსანი კურსდამთავრებულები ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ.

მსმენელთა ჩარიცხვა იწარმოებს 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, ხოლო ფრიადოსნებისა 31 ივლისამდე.

ტექნიკუმის ყველა კურსზე მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით და ბინით.

სხვა სოფლებიდან და რაიონებიდან ჩამოსულებს მიეცემათ უფასო ბინა. ტექნიკუმის მსმენელთა მთელი შემადგენლობა მომარაგებული იქნება საჭირო სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით.

ტექნიკუმის დირექცია

მოქალაქე ვასილ კონდრატეს-ძე ქოიავამ, მცხოვრებმა მაჩაბლის ქ. № 4, აღძრა საქმე ქელიაბოვის ქ. № 2 მცხოვრებ მოქალაქე ვარვარა არტემის ასულ ელიკიან-ქოიავასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე თამარ არკადის ასულმა ბაჟელიძემ, მცხოვრებმა თოიძის ქ. № 4, აღძრა საქმე ფხოვის ქ. № 2 მცხოვრებ მოქალაქე ალექსი მანასეს-ძე ბაჟელიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

**დისერტაციის დაცვა**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი**

(ჯავახიშვილის ქ. № 1)

1955 წლის 4 ივლისს დღის 2 საათზე პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**დიმიტრი ხარიტონის-ძე გურგენიძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების პრინციპები და მეთოდები საბჭოთა სკოლაში".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში (ჯავახიშვილის ქ. № 1).

**„გლავმეტალოსბიტის" საქართველოს კანტორა**

აცხადებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ საქონლის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით 1955 წლის 1-დან 10 ივლისამდე წყვეტს საქონლის გაცემას თბილისის და ქუთაისის ლითონის საწყობებიდან, ამის გამო ა. წ. 1 ივლისამდე ხსენებული საწყობებიდან აწარმოებს ლითონის გაცემას I და II კვარტალის ფონდებით მთლიანად და მესამე კვარტალის ფონდების ანგარიშში ნაწილობრივ.

შვილები ეთერ, ლიდა იუწყებიან ალექსანდრე პეტრეს-ძე კალანდაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-VI, 8 ს. გამოსვენება 25-VI, 6 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 94.

ბავშვთა I საავადმყოფოს კოლექტივი იუწყება თინა შალვას ასულ წოწორიას გარდაცვალებას. გამოსვენება 23-VI, 5 ს. მესხიშვილის ქ. № 19.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04233 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.